

კარლემან-ბერს-ვეკუას განტოლებისათვის სასაზღვრო ამოცანის  
სპეციალური კლასის შესახებ

ვალერიან ჯიქია

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში განხილული იქნება რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა (წრფივი შეუღლების ამოცანა) კარლემან-ბერს-ვეკუას განტოლებისათვის, როდესაც გადასვლის  $G(t)$  ფუნქცია მოცემულია  $\Gamma$  წირზე და აქვს ნულები და პოლუსები  $\Gamma$ -ზე. წარმოვადგენთ ამოცანის ამოხსნადობის აუცილებელ და საკმარის პირობას, აგრეთვე ამონახსნს ჩავწერთ ანალიზური სახით.